



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №538



KA010149664106122

თბილისი

09 / ნოემბერი / 2022 წ.

„საგრანტო პროგრამა №001-2022-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“ – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 07 ოქტომბრის №486 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „საგრანტო პროგრამა № 001-2022-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“ – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 07 ოქტომბრის № 486 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო პროგრამის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„მუხლი 4. მნიშვნელოვანი ვადები

საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2022 წლის 10 ოქტომბრისა
საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	განსაზღვრავს საგრანტო საბჭო, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 24 ნოემბრისა
საგრანტო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2022 წლის 10 დეკემბრისა
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება	არაუგვიანეს 2022 წლის 30 დეკემბრისა
საგრანტო ვადა	საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3-6 თვე.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე